

4
1963



ნახ. ჯ. ლაღლუასი

— რა თემა გაქვს, კაცო, ასეთი, რომ ათ წელიწადში დი-
სკრტაცია ვერ დაამთავრე!
— მებად მნიშვნელოვანი — „ევითელთვალა გუჯის ზუ-
ილის ზოგირათ თავისეზურებათა შესწავლის საკითხისათ-
ვის!“

№ 4 თბილისი თეატრალი 1963

სიხე

30 წლის უკან



სიბერეში აღმდგან რა არ შეიძლება დაემართოს, ზოგს რომ შაკიკი აუტყდება, ზოგსაც ისეთი სკლეროზი დაარტყამს, რომ, გუ- შინ რა ჭამა, ის აღარ ახსოვს. სწორედ ასე დაემართა ქ. სოსუმში მცხოვრებ ეფემია კონსტანტინეს ასულ ალხაზოვას, რომელსაც მთლიანად „დაავიწყდა“ 1932 წელს მისი მეუღლის აწ განსვენებულ ნიკოლოზ კუზმას ძე ალხაზოვის მიერ ქ. სოსუმში, კუბიშვილის ქ. № 9-ში ოთხთახიანი სახლის გაყიდვა. ერთ მშვენიერ დღეს ეფემიამ თავში შემოირტყა ხელი და მგლოვიარე ხმით შემოსძახა:

— სახლი რა იქნა, სახლი?!
— რომელი სახლი?! — შეეკითხნენ ნათესავ-მეზობლები და გაკვირვებულნი სმენად იქცნენ.

— სახლი-მეთქი, ჩვენი ოთხთახიანი სახლი სოსუმში!
— გაჰ, ვე სახლი ხომ 30 წლის წინ სოფელ ბაღმარანის კოლმეურნეობას მიყიდა თქვენმა ქმარმა და ნოტარიუსთანაც დაამტკიცა ყიდვა-გაყიდვა!

— არ მახსოვს, არ მიმიყიდა.
— როგორ არ გახსოვთ, მისი გაყიდვის შემდეგ ნეტარხსენებულ ნიკოლოზს და თქვენ ხომ ორთახიან მინაშენში გადახვედით საცხოვრებლად?

ეფემიას თითქოს დაავიწყდა ის დრო და ჟამი როცა ბინა-გაყიდული ცოლ-ქმარი ზოგჯერ ბაღმარანში რომ საკუთარ სახლში ათევენდნენ ღამეს, ზოგჯერაც სოსუმში ორთახიან მინაშენში აფარებდნენ თავს ზაფხულის პაპანაჭებებს.

— როგორ არ გაგიყიდა, ნათესავო, მე ჩემი საკუთარი ხელით არ ჩავუთვალე ფული ცხოვრებულ ნიკოლას, მე არ ვიყავი მაშინ ბაღმარანის კოლმეურნეობა „ემბროს სოციალიზმოს“ თავმჯდომარე, მე არ გავყვევი ნოტარიუსთან, მე არ მოვაწერე ხელი ყიდვა-გაყიდვის აქტს? მე და ნეტარხსენებულმა შენმა ქმარმა ერთად არ შევსვით დაგვირგვინებული საქმის სადღეგრძელო? — ხმა აიმაღლა ეფემიას სიძემ გიორგი სააკოვმა და გამომცდელად მიაცქერდა ცოლისდას.

— არ გამიყიდა-მეთქი, გაიგე და შეისმინე. — გაჟავრდა ეფემია და სიძეს ზურგი შეაქცია.
— აბა, რა ჩემი საქმეა, ნათლიდევ, მაგრამ, ისე რომ ვთქვათ, ამ

ოცდაათი წლის განმავლობაში რატომ ერთხელ მაინც არ მოიკითხეთ თქვენი აწ განსვენებული მეუღლის მიერ თხასავით გაყიდული სახლის გზა-კვალი, სახლი დაკარგული ვარიკა ხომ არ იყო, რომ მეზობლის ეზოში წანწალის შემდეგ უკანვე დაბრუნებულიყო?!

— იმიტომ არ მოვიკითხე, რომ არ მიხდოდა. ასლა მომიხდა და ვიბრუნებ.

— გაჰ... კარგია, კარგი დაგემართოს.
— არ გამიყიდა და ვერ დაგვარგავ.
— ნამდვილად არ გაგიყიდათ? — ჩაეკითხა ადვოკატი ვეგენი კარტოზია და კალამი მოიმარჯვა.

— არ გამიყიდა, ნიკოლოზის ხსოვნას გეფიცებით — და დაჯდა წერად ვეგენი, დაიწერა განცხადება, აღიძრა სამოქალაქო საქმე, შეძრა კარტოზიამ ცა და ქვეყანა, ააწრიალა სოსუმის სახალხო სასამართლო, მაგრამ სასამართლომ კანონიერი სამართალი ჰქმნა და არ დააკმაყოფილა ალხაზოვას სარჩელი, რამეთუ სახლი ხურმა არ არის, რომ ქმარმა ისე გაყიდოს, ცოლმა ვერაფერი გაიგოს და მისი უქონლობა თვალში არ დააკლდეს!

— დაგვიარგეს, დაგვიბრვიყვეს, უსამართლოდ მოგვექცნენ. — შესძახა ადვოკატმა და ეფემიამაც ბანი მისცა.

— გავასარიერებ, ცას და ქვეყანას შევძრავ. — შემოსძახა კარტოზიამ და განცხადებას ალხაზოვამ მოაწერა ხელი.

— აჰ არ დაგვიჯერეს, აჭარაში დაგვიჯერებენ. — ითქვა და გაკეთდა. უთვალავი ცნობით, მოგონებით და გახსენებით დამძიმებულმა ორტომიანმა საქმემ ზღვითა თუ ხმელეთით ბათუმამდე იმოგზაურა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიაში ამოჰყო თავი. სულ მოკლე ხანში, ზღვითა თუ ხმელეთით მოგზაურობის შემდეგ, საქმეს ვეგენი კარტოზიაც დაეწია და ატყდა სასამართლოში ორთმტრიალი.

— ჩემისთანა კაცს სიზმარს დაუჯერებენ და თქვენ რატომ არ მიჯერებთ, ეფემია ალხაზოვამ ნამდვილად არ იცოდა ქმრის მიერ ბინის გაყიდვა.

— არა, მართლა?

— ჩემმა მზემ, — დაიფიცა ადვოკატმა და 1961 წლის 22 სექტემბრის სხდომაზე აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ყურად იღო ეფემია ალხაზოვას თხოვნა და გააუქმა აფხაზეთის ასსრ სასამართლოს დადგენილება, რამეთუ ამ 30 წლის წინათ სოსუმში, კუბიშვილის ქ. № 9-ში ოთხთახიანი ბინა გაყიდა ქმარმა და ცოლმა ეს არ იცოდა და აზრზედაც არ იყო.

სასამართლო კოლეგიამ თვალი დახუჭა ყველა უდავო ფაქტზე, რომლებიც აშკარად დადადებენ ბაღმარანის კოლმეურნეობის სასარგებლოდ, თვითნებურად შელახა კოლმეურნეობის კანონიერი უფლება და ინტერესები, სოსუმის სახალხო სასამართლოს სწორი გადაწყვეტილება თვალნათლივ გაამარუდა, თურიდიულ ჩარჩოში ჩასვა თავისი მიკერძოებული აზრი და სადათ სახლის იდეალური ნაწილის ნახევრის კანონიერ შესაკუთრედ ეფემია ალხაზოვა დაადგინა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ერთ-ერთმა ყოფილმა მოადგილემ აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია და თავის ყოვლისშემძლე ხელით აკურთხა.

ამბობენ ეს საქმე პროკურატურაშიც ტრიალებდაო. ალბათ, გამოარკვევენ ვისი ხელით და რა ძალის წყალობით მოხდა მისი უკუღმა დატრიალება.

ამჟამად კი, ბაღმარანის კოლმეურნეობა კვლავ ეძებს სამართალს და, ცხადია, აპოვნის კიდევ, მაგრამ, საკითხავია, ეპატიება თუ არა ადვოკატ კარტოზიას მრუდე საქმის კიდევ უფრო გამარუდება და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაკებს აშკარად მოლაღადე ფაქტების წინაშე თვალების დახუჭვა.

ღიასაც რომ საშიში ავადმყოფობაა სკლეროზი, ისეთი რამ გავიწყდება, რაც ცოტა ხნის წინ თვალდახუჭულმა იცოდი და, თუ ზოგიერთი მუშაკი აღნიშნულ ავადმყოფობას თვალსუჭობანას თამაშით უპასუხებს, მაშინ იგი ძნელად მოსარჩენი ხდება და ქირურგის დანას საჭიროებს.


ნახ. ჯ. ლილუასი



— ჩვენს ქალაქში ჭირ ტელეგადაცემები არ არის და ტელევიზორი რად გინდა?
— არც წიგნების კარადა მჭირდება, მაგრამ...

ი. პერსანიძე

ნახ. გ. ჟირცხალავისი



—ამდენი კარაქი როგორ შევჭამო, ისე წაუსვი საბავშვო ბაღში რომ უს ვამენს

მისიზმრა: ვითომ უინვალში
 ჩამოიარა ვაჟმა,
 არაგვთან შედგა დაღლილი,
 მოღწე ნაბადი გაშალა.
 დაჯდა პოეტი, სიცხეში
 მუბლდაცვარული ოფლითა,
 წყალი ითხოვა, შივარტით
 „ვაჟის წყარო“ ბოთლითა.
 დახედა ღამაჲ ეთიკეტს.
 გრძობით აკოცა ჯორბუდას,
 მშობელ მთებისკენ დიმილით,
 აღტაცებული მობრუნდა.
 წყალი დაახსა, სასმისი
 როგორც მიიღო ბაგეზე.
 ცივად ძირს დადგა... დიდ მგოსანს
 სახის ნაკვთები აღეგზნენ,
 ამოიგმინა, თვალთაგან
 ცრემლები მოსწყდა წვეთ-წვეთად.
 თქვა: წავალ, მაგრამ გახსოვდეთ,
 ესეც გეყოფათ სირცხვილად...
 წყალი რად გამოფუტეთო,
 მაშინ მეც გამომეღვიძა.
 წავიდა ვაჟა, ისმოდა
 შორით ხმა მისი ფეხისა,
 უინვალპესის მუშა იოსებ პანაშვილი

მეორედ გამოსხალება

— ორ-სამ თვეში სამოთახიანი შესანიშნავი ბინა გექნებათ თავისი სამზარეულოთი, აბაზანითა და სხვა სათავსოებით. ორ თვეში გესმის. კაცო, ორ თვეში!

— კი, მაგრამ ურიგოდ ბინას ვინ მომაშავეებს?

— რის რიგი, რა რიგი?! მე ჩემი წესი და რიგი მაქვს. გიორგი ქერეჭაშვილი მოგიკვდება. თუ ორ თვეში საქმე არ გაგიჩარხო.

გიორგი ქერეჭაშვილს პირდაღებული შეაცქეროდა კლიენტი, რომელსაც ბინის მოლოდინში დავიწყებოდა ვისთან ლაპარაკობდა ბინების მეუფეს შედგენილი ჰქონდა ვეებერთელა სია, სადაც ზუსტად იყო აღნიშნული ვის რამდენი დო უნდა ჩაეყლაპა. და იცდიდნენ. იდგნენ რიგში დოკუმენტები, თვითონ ქერეჭაშვილი კი, მათგან აღებული ფულით საუკეთესო ღვინოებს ყლაპავდა.

იზრდებოდა აია და მდიდრდებოდა ქერეჭაშვილია შემოსავლის სალარო. იესებოდა გიორგის ჯიბე. მთხოვნელთა ჯიბე ცარიელდებოდა. დაპირება ყინულზე იწერებოდა. ყინული დნებოდა და წყალწაღებულებივით იმედის ხავსს ებლაუტებოდნენ ბინის მიღების მსურველები.

გვიან მიუხვდნენ ქერეჭაშვილს. ურემი გადაბრუნდა. გზა გვიან გამოჩნდა. „კლიენტთა“ ფული შეჭმული აღმოჩნდა. გიორგი ქერეჭაშვილი „საზოგადოებრივი მოღვაწეობის“ ათი წლისთავზე სამი წლის პატიმრობით დააჯილდოეს.

პატიმრობაშიც კარგად ცხოვრობდა ფულიანი ქერეჭაშვილი. ბლომად მოსდიოდა ოჯახიდან ნაირნაირი სასოვავე და გიორგი სანატორიუმის რეჟიმზე გადავიდა. ერთი განსხვავებით. სანატორიუმის ერთფეროვანი კერძებით კი არა, ძუძუთა გოჭის. რძეშეუმშრალი ხბოს ხორკით და ცოცხალი თევზით

სუქდებოდა. გაცრუებული კლიენტები კი ჯავრით სივდებოდნენ.

სამმა წელიწადმა სწრაფად გაიქროლა.

ქერეჭაშვილმა „დასასვენებელი“ სახლიდან გამობრძანებისთანავე თბილისს შეავლო თვალი. ყველგან სიახლე იგრძნობოდა, მაგრამ ქერეჭაშვილის სულში სიახლის არავითარი ნიშანწყალი არ იყო, ისევე ის ძველი ჰია უღრღნიდა ჭკუ-გონებას.

ქერეჭაშვილი სტომატოლოგი არ გახლავთ, მაგრამ მან საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობას მაინც მოუსინჯა კბილი. ყველაზე მეტად მას მოეწონა საბინაო კოოპერატიული ამხანაგობა № 14, გაეცნო მის საქმიანობას, ღრმად განსჭვრიტა საქმის ვითარება და მაშინვე აამუშავა ფულსახვეტი ბორმანქანა. ხმა დაიჩხა: ქერეჭაშვილი № 14 საბინაო ამხანაგობისათვის ახალ წევრებს აგროვებსო. რა თქმა უნდა, თვითონ უფალმა გიორგიმ დაარხია ეს ხმა და შეიქმნა ერთი გაწამაწია. არა, პირველად მე უნდა ჩავაბარო ქერეჭაშვილს ფული და არა მეო.

მომრავლდნენ ამხანაგობის ფიქტიური წევრები, ხოლო ფაქტიურად ქერეჭაშვილი ქერს ჭამდა, საჯინბოში შეპარული ცხენივით.

№ 14 საბინაო კოოპერატიული ამხანაგობის თავმჯდომარეს წყალი როცა შეუდგა, ქერეჭაშვილი პირველი მაისის რაიადმასკომის ხელმძღვანელთა „სიფხიზლი“ მეშვეობით, ამხანაგობის სათავეში მოექცა. მის პიროვნებას არავინ დაუეჭვებია.

— თქვენისთანა საქმიანი კაცი ჯერ არ შობილა დედამიწაზე.

— იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, ჩვენო სამაყო თავმჯდომარე! — ჩაესმოდა გიორგის და თან გულში ელიმებოდა. მან სხვებზე კარგად იცოდა საქმის ვითარება.

სად არ დაძვრებოდა იგი ილღიაში გაჩრილი „პაპკით“. თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ უფრო მეტი ნდობით მოექიდნენ გიორგის ავტორიტეტს... საბინაო ამხანაგობაში წვერად მიღებას თხოვდნენ ნაცნობ-უცნობები. წარმოიდგინეთ, თვით გიორგი ქერეჭაშვილიც დარწმუნდა თავის უტოლველობასა და ყოვლისშემძლეობაში ისე, რომ მცირეოდენ შენიშვნასაც ვეღარ იტანდა. „პრეზიდენტის“ რისხვა ბოლოს პედაგოგ გერონტი პირბილაძეს დაატყდა თავს.

— გასწი, მომშორდი აქედან, რას ჩამეკრკიტებ. ცხვირს რად უოფ სხვის საქმეში! — დასტყვილა აღზევებულმა ქერეჭაშვილმა ამხანაგობის რიგით წევრს, რომლის მაგივრად სხვისი მიღება უკვე გადაეწყვიტა მის კეთილ გულს. მერე და არ იკითხავთ რატომ? რა გულუბრყვილონი ხართ, რა თქმა უნდა. მეტი გამორჩენის მიზნით.

არა, უჭკუო კაცი არ გეგონოთ ქერეჭაშვილი, მას არც კი გაუტანია ამხანაგობის კრებაზე სირბილაძის საკითხი, რადგან დროზე ადრე ჩავარდნისა შეეშინდა.

— სამ-ოთხ თვეში სამოთახიანი სამოთხეში შეგასახლებთ! — ის იყო ხელახლა წამოიწყო თავისი ძველი ტირადა გიორგი ქერეჭაშვილმა, მაგრამ იგი ხალხმა ჩააჩუმა. ფანდები გაუგეს...

ახლა ყველა ერთს გაიძახის: ეს გარეწარი თავმჯდომარედ როგორ ავირჩიეთო. მაგრამ გვიანდაა მათი წუწუნის და წუხილი.

ახლა კაცმა არ იცის № 14 ამხანაგობის სახლის მშენებლობა როდის დამთავრდება. არც ის იცის, მოხვეჭილ ფულს ვისთან ერთად ინაწილებდა საასპარეზოდ მეორედ გამოცხადებული გიორგი ქერეჭაშვილი.

ჩამოიარეთ, ჩვენო საყვარელო მკითხველებო, თბილისქალაქის მოედნები, მიონახულეთ „ნიანგის“ უმცროსი ძმები „შოლტი“, „მათრახი“, „ჭინჭარი“ და ძმანი მათნი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნეპყოფლობითი სახალხო რაზმის შტაბის ორგანიზი და გაიცანით ნაირნაირი „მოღვაწენი“ ჩვენი დროისა. გაიცანით მათი საქმენი საგმირონი, რომელთა შესახებ ბევრი იწერება, კალმითაც და ფუნჯითაც, მაგრამ ნათქვამია დიდ ღლავს დიდი მორევი უნდაო, მათი საქმენი კედლის გაზეთების ფარგლებს სცილდებიან, რესპუბლიკური მასშტაბისანი ხდებიან. ჩვენს ჟურნალში გადმოვიან.

სიყვარულის ბაჯალთა ვასილ ჯალოვი. უყვარს მოყვასი, განსაკუთრებით თავისი მეზობლები და, მათ შორის, ყველაზე უფრო ირაკლი კვირიკაძე. უფრთხილდება თვალისჩინივით, პატიოსანი და უწყინარი კაცია, ვინმე არ დამინაგროსო, ხანძარი არ გაუჩნდეს სახლშიო, გულის ან აპენდიციტის შეტევით მისი ძვირფასი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩავარდესო... ამიტომაც რეკავს და რეკავს ვასილი ყოველდამე, იბარებს სასწრაფო დახმარებას, სახანძრო რაზმს, მიხედეთ კვირიკაძეს და მის ბინასო... წვილ-ვილით მოგრილებენ სახანძრო რაზმის მანქანები, სასწრაფო დახმარების მანქანები, აღვიძებენ კვირიკაძეს, რა გტკივა, რა მოგივიდა, შე კაცო, სიცხე ხომ არა გაქვს, ან ცუცხლი ხომ არ გაგიჩნდაო,

ახალგამოდვიებული და გაოგნებული კვირიკაძე თვალს იფშენებს, უკვირს კვირიკაძეს... იქვე კი მეზობელ ოთახში ხითხითებს ჯალოვი, ლამის გასკდეს სიცილითა.

ჯან ბაბაჯანი! ჯანი! იმ დღესაც რეკავდა ჯალოვი, სახანძრო რაზმის მანქანას გამოუძახა კვირიკაძისათვის, მაგრამ თვითონ მასთან გაჩნდა მილიციის მანქანა. უკვირს ჯალოვს. ხითხითებს კვირიკაძე.

საინტერესოა მომავალი ინჟინრის ბედი, მეოთხე კურსზევე ფიქრობს ნამდვილი სტუდენტი ახალ ჩარხებზე, დაზგებზე, მანქანებზე, ელმავლებზე.

მაგრამ არიან სტუდენტები, რომლებიც საათობით ფიქრობენ საათებზე. ახალი სისტემის საათების შექმნაზე კი არა, არა, წაგლეჯაზე... და აი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტმა გივი ბარნაბის ძე დოლიძემ ხელი გაიწაფა ამ ხელობაში.



ათ იანვარს სადგურის მოედანზე მანქალს ხელიდან წააგლიჯა მაჯის საათი, პატიმრობაში სამეზის ნამყოფმა ინსტიტუტის ისევე პატიმრობა არჩია. გზაც იქით ჰქონია.

არსებობს სიყვარულის დამტკიცების ნაირნაირი მეთოდი. ერთი: ცურვა არ იცოდვ და მაინც მორევი გადაეშვა. მეორე: ჩაიღინო რაიმე დიდი საგმირო საქმე. მესამე: პოეტური ძველი აღმართო გულის ვარდს და მეოთხე: კითხეთ ზოია თედიასვილს, ნახევარფაბრიკატების № 10 მაღაზიის გამყიდველს, რომელსაც მყიდველების რიგის მაგივრად თავყვანისმცემლების რიგი უდგას, გეტყვით ზოია:

— მაღაზიაში თუ შემოვიდა ისეთი თავყვანისმცემელი, რომელმაც თავი მოგაბე-

რათ, კითხე კატლეტი უნდა თუ ბიფშტექსი, ამავე დროს, არ დაგავიწყდეს მრავლისმეტყველი თვალები ჩაუქუქუნო იქვე მდგომ მეორე თავყვანისმცემელს. თუ პირველმა თავყვანისმცემელმა ჩინიუმურ თემაზე ჩამოგიგდო ლაპარაკი, ეცი ქეჩოში, მოქაჩე, დაახიე პერანგი და, თუ ტანჩიაა, ადინე ცხვირიდან სისხლი... ამით აზეზარ თავყვანისმცემელს მოიშორებ და წანუკვარი თავყვანისმცემლის გულს მოიგებ.

ყველაფერი ეს ზოიამ საკუთარი გამოცდილებით იცის.

ზამთარში, როცა ფეხბურთის სეზონი აღარ არის და ფეხბურთსდანიტრებული ქუჩა-ქუჩა მიყვიალობ შუადამისას, ასწიე მარჯვენა ფეხი, თუ მარცხენა ფეხის დარტყმა არ გეშარჯებთა, და ნალიანი ქუსლი ჩასცხე სანაგვე ურნას, არ შეგეშინდეს, არაფერი მოგივა და, თუ ურნა არ გადაბრუნდა, ისევე ჩასცხე, ურტყი, რა გენაღვლება, ხმას ამოიღებს თუ?

ასევე ფიქრობს როსტომ ჯაფარიძე, რომელიც სამუშაოსათვის გამოუყენებულ ენერგიას ურნების გადაყარაგებაში ხარჯავს ლამანჩელი რაინდივით.

მაგრამ დონ-კიხოტი კეთილშობილი კაცი გახლდათ, როსტომ ჯაფარიძე კი ჯერჯერობით ამას ვერ ამბობენ მილიციის განყოფილებაში, სადაც იგი თავისმა საგმირო საქმეებმა ათი დღით ჩააბრძანა...

ყაზანელ უშკულო ჰასანოვს და ფარი ისმაილოვს რომ კითხო, რეაქტიული ლაინერი ტუ-104 რისთვის გამოიგონესო, თვალის დაუხამხამებლად გიპასუხებთ: დაკლული ქათმების ყაზანიდან თბილისში ექსტრა-სასწრაფოდ ჩამოსატანადო, რადგან ქათმის ნაზი ხორცი მატარებლის და მანქანის ხანგრძლივ ჯაყაყას ვერ იტანს და მალე ეცვლება ფერი.

მაგრამ თბილისის ბაზარში მათი გამოჩენისთანავე შური-საგან ფერი ეცვალათ თბილისელ ქათმის გადაწყიდველებს.

— კონკურენტები, კონკურენტები! — ერთხმად შეჰკვივლეს მათ და ასტეხეს გნიასი, ვითუ სამი დღის დაკლული ქათმები ჩემოდნებში ჩაგვილპესო.

ყაზანელი უშკულო ჰასანოვი და ფარი ისმაილოვი ამხელა მანძილს თუ არ შეუშინდნენ, ადგილობრივი კოლეგებისა მოერიდებოდათ? ყიდეს და ყიდეს დაკლული ქათმები... მაგრამ შურმა მაინც თავისი გაიტანა. ადგილობრივმა კოლეგებმა დაკლული ქათმებით გაყიდეს ზედმეტად ცოცხალი კოლეგები და ახლა მათთან ერთად სხედან გალიაში.



ნახ. შ. ფორჩხიძისა

— მეტრიანის ნაცვლად ზომავ ძველი არშინით, რევიზორად უნდა გყავდეს ოძელაშვილი!



ნიანგი მომხმარებლებთან ერთად აღტაცებას გამოსთქვამს ზოგიერთი პურის ქარხნის ზოგიერთი მუშაკის ინიციატივის გამო, რაც გამოიხატება პურთან ერთად სხვა, უცხო სხეულების გავრცელებაში. ამას წინათ მოქ. ი. სავათეევამ პურის მაღაზიაში, რომელიც მონტიანის ქ. №15-ში მდებარეობს, იყიდა ერთი შეხედვით ჩვეულებრივი პური. ადვილად წარმოსადგენია მისი უსაზღვრო სიხარული, როდესაც პურის დაჭრისას შიგ რეზინის მოზრდილი ნაჭერი აღმოაჩინა. ეს მეტად ძვირფასი წამოწყებაა, მაგრამ, ნიანგის აზრით, კარგი იქნებოდა პურთან ერთად გავრცელებულიყო სხვადასხვა დეფიციტური საქონელი, შეიძლება აგრეთვე მომხმარებელი გაგვეხარებინა სახალწლო საჩუქრებით, ბავშვები — ნაძვის ხის სათამაშოებით, ქალები — ქალის წინდებით და ა. შ. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მომავლის გეგმებია, მაგრამ ნიანგს ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი, რომ ზოგიერთ მუშაკთა ენერგიით ეს გეგმები ადვილად განხორციელდება. ამას შეიძლება შედეგად ისიც კი მოჰყვეს, რომ ზოგიერთი ქარხანა პურს სულ აღარ გამოაცხობს და მთლიანად ფართო მოხმარების საგნების დამზადებაზე გადავა. ნიანგს საჭიროდ მიიჩნია პრიორიტეტი არ დაუკარგონ იმ ამხანაგებს, რომლებმაც პირველად წამოიწყეს ეს საქმე და სათანადოდ დააჯილდონ ისინი.

ნიანგი

ნახ. გ. სხარულაძისა



— ამ ხნის მონადირე ვარ და ასეთი ნაკვალევი ჭერ არ შემხვედრია!

მსხეთური ასანთის კი წვავს ხელს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასანთის კოლოფი შოთა რუსთაველის გამოსახულებით, რა თქმა უნდა, მცხეთურია, დახედავთ და უნებურად გაგონდებთ მესხანძრეთა გაფრთხილება: „ერთი ხისაგან შეიძლება დამზადდეს ასიათასობით ასანთის ღერი, მაგრამ ერთი ასანთის ღერისაგან შეიძლება გადაიწვას ასიათასობით ხე“. ალბათ მესხანძრეებს მცხეთური ასანთი არ ჰქონდათ მხედველობაში, როდესაც ამ გაფრთხილებას იძლეოდნენ, რადგან მცხეთური ასანთით ტყის გადაწვა კი არა, პაპიროსის მოკიდებაც სჭირს.

ადამიანი ყველაფერს ეგუება და ჩვენც შევეგუეთ უხარისხო მცხეთური ასანთს, ეტყობა, ამ ფაბრიკის ხელმძღვანელობაც შეეჩვია საყვედურებს, მაგრამ ამჯერად ფაბრიკის დირექტორს ვ. გელაშვილს ცოტა უფრო მსხვილმანი სასაყვედურო აქვს.

არქეოლოგებს, რომლებიც მცხეთის შემოგარენში გათხრებს აწარმოებდნენ, დაავიწყდათ ერთი ფრიად საინტერესო ექსპონატი, რომელიც მცხეთის ასანთის ფაბრიკაში დღემდე შემორჩენილი, ეს არის დაზგა, რომელიც ნახევარი საუკუნეა დგას აქ. ამ დაზგის წყალობით დახერხილი ხე-ტყის მასალის თვითღირებულება იზრდება, იზრდება, რაც დრო გადის, რადგან დაზგა, მართალია, უსულო საგანია, მაგრამ ისიც ბერდება და ცვდება.

ფაბრიკის დირექციამ დიდი წვალებითა და ხანგრძლივი მოთხოვნით მიაღწია იმას, რომ 1961 წელს მიიღო ახალი ორსართულიანი ჩარჩო დაზგა რდ-1100.

რდ-1100-ს მართლაც რომ წუნი არ ეთქმის, თანამედროვე ტექნიკის მშენებმა, სრულყოფილი, მექანიზირებული და ავტომატური. ეს დაზგა მართლ ერთ ცვლაში გააკეთებს გაცილებით მეტს, ვიდრე მცხეთის ასანთის ყველა დაზგა ორ ცვლაში. და ძველ დაზგას მთელი მუზეუმში გადაბარგება, მაგრამ... დღემდე რდ-1100 უპატრონოდ გდია ფაბრიკის მივარდნილ ადგილას, ღია ცის ქვეშ, წვიმასა და თქვეში. გდია ბედის ანაბარა და ეკიდება ჟანგი, რამდენი კარგი საქმის გაკეთება კი შეეძლო დალოცვილს, რამდენად შემცირდებოდა დახერხილი ხე-ტყის მასალის თვითღირებულება, რამდენად ხარისხიანი იქნებოდა პროდუქცია.

მართალია, უკვე გვიანაა, მაგრამ საქმის გამოსწორება კიდევ შეიძლება. ეს არც თუ ისე რთულია, პირიქით, ძალიან მარტივია. რდ-1100 დაიდგება ფაბრიკაში, გამოტანილ იქნება ძველი დაზგები და ფაბრიკის ხელმძღვანელობასთან ერთად ჩაბარდება სიძველეთა მუზეუმს.

განა საქმისათვის ასე არ აჯობებს? განა მეორე აზრი შეიძლება არსებობდეს?

გ. ასანთიან

ნაგვლიჯის დათაია

შ ა ზ ა მ ე ბ ი

რესტორანის გამგე ვიყავ, ჩემი ბინაც ადასტურებს, ვქეიფობდი, სხვის ჭიბუში ხელი ბევრჯერ ვფათურე. სახლი მედგა აგარაკზე, სადაც ხშირი ფიჭვნარია, კისლოვოდსკში, ხაზმარში კარგი პური მიჭამია... მაგრამ ერთ დღეს კლიენტებმა გამოიგეს და დამიჭყვივეს, ხუთ წელიწადს ღვინის მსმელი ბოლოს მოხლევს დამიჭირეს...
შოთა როსვა

სამაჟლანძი მოსკოვში: გამოგზავნა ამანათი, იმან — ერთი, ამან — ათი.
წოვიერთი არაქიჭაქორის ლოგიაა: სრული დისპროპორცია, სრული ასიმეტრია, შენობაა ათი მეტრი, სვეტი ასი მეტრია. აგვივის მაღაზიის განმედიველი: ჩუმად გააპარა და დააქვს კარი-კარადა, მოდის, მოაქვს, ჰაბარდა — იმპორტული კარადა.
გოგა ჩიგოგა

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, რედაქტორი ნ. შველიძე. ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა


თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ბელმოწ. დასაბ. 18/11-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტოგრაფს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ღვინის ქ. № 14. შეფ. № 815, უფ 08154 ტირაჟი 40,000

დე გოლის დაუთმობლობა „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის საკითხში არღვევს ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გამოიზნულ გეგმებს „ევროპის გაერთიანების“ შესახებ. საფრანგეთის პოზიციამ გამოიწვია ვაშინგტონის უკმაყოფილება და მკვეთრად გაამწვავა საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთობა.

ИНДЕКС 76137

საერთო
ბაზარი



ბაზარში ვერ შეაბარებს.